ᲗᲘ

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 01.01.04/30/104

ქ. თბილისი 04.03.2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის გალაქტიონ ბუაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეუ გრუპი" (შემდგომში-მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო კიკაბიძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, განსაზღვრული მიმწოდებლის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.
2.3 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე განცხადების ნომერი **№NAT190002235**;
2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 7820989,99 (შვიდი მილიონ რვაასოცი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრა ლარი და 99 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.5 კლასიფიკატორის კოდი - **45233142** <u>გზის შეკეთების სამუშაოები.</u>
2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია 2022 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

3.1 სამუშაოების დასრულების ვადა - სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, წერილობითი დავალების მიცემიდან 3 (სამი) თვე.
3.2 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოადგინოს და შემსყიდველთან შეათანხმოს წერილობითი დავალების მიცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს წერილობითი დავალებით განსაზღვრულ ვადაში.
3.4 მიმწოდებელი ვალდებულია ობიექტზე სამუშაოები აწარმოოს 24 საათიან რეჟიმში.
3.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო ობიექტზე საკუთარი ძალებით და სახსრებით უზრუნველყოს ინჟინერ-გეოდეზისტი, რომელიც აწარმოებს შესაბამის ზედამხედველობას.
3.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დაწყებამდე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან შეათანხმოს სატრანსპორტო უსაფრთხოების სქემა.
3.7 მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო ობიექტზე მოახდინოს ამოჭრილი საკონტროლო კერნების სიცარიელეების შევსება ცივი ან ცხელი ა/ბეტონის ნარევით.
3.8 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენები (ინერტული) განათავსოს მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილზე, თბილისის ტერიტორიაზე განთავსების შემთხვევაში - გლდანის რაიონი, თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის მე-15 კმ.
3.9 მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი.
3.10 მიმწოდებელმა სამშენებლო ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს მინიმუმ 2 ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ/80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად;
3.11 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.
3.12 პრეტენდენტს სამშენებლო სამუშაოების ადგილზე საჭიროებისამებრ უნდა გააჩნდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.3.1 პუნქტით განსაზღვრული საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მანქანა-მექანიზმების საკუთრების ან/და სარგებლობის უფლების შესახებ ინფორმაციის სისწორის გადამოწმება შემსყიდველს შეუძლია ნებისმიერ დროს.
3.13 სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.
4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.
4.3 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2,5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5%-ის გადახდა მოხდება შესაბამისი ოდენობის სავალდებულო, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. აღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, საფინანსო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების საგარანტიო ვადას.
4.4 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნდება აღნიშნული საბანკო გარანტია ხარვეზების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.
4.5 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების 4.2 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 4.3 პუნქტით განსაზღვრული გარანტია (ხელშეკრულების ღირებულების 2,5%) დაბრუნებას არ ექვემდებარება.
4.6 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი აღნიშნული გარანტიით განსაზღვრულ ღირებულებაზე მეტი ოდნობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლზე ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.
5.3 შესრულებული სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი პერიოდულად ახორციელებს ინსპექტირებას, რაზედაც წინასწარ ატყობინებს მიმწოდებელს. ინსპექტირების შედეგები აისახება შესაბამის ოქმში.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
5.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი და ზედამხედველობა. კერძოდ: შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში, ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.
5.6 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.
5.7 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამასთან, შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება დადასტურებული ფორმა N2-ით (შესრულებული სამუშაოების აქტი) განსაზღვრული სამუშაოს დასრულების თარიღი.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ან/და მისი უფლებამოსილი პირი აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა, დაწუნებული სამუშაოს გამოსწორების მიზნით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულების 9.6 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრული ვადის ბოლო თარიღიდან დეფექტების საბოლოო აღმოფხვრამდე.

6.3 იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), აღმოჩენილი შესასრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განსაზღვრული პირ(ებ)ი.

6.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2019 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7.5 წინასწარი გადახდის თანხების (ავანსი) დაკავება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 4 სექტემბრის №508 ბრძანების შესაბამისად - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამოწმების შესახებ“.

7.6 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო)გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტიის დოკუმენტი, **გაცემული 2019 წლის 28 თებერვალს სს „არდი დაზღვევა“-ს მიერ (№CPB/19-004364), თანხით 195524,75 ლარი, რომლის მოქმედების ვადაა 2019 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.**

8.2 მიმწოდებელი მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილ იქნა 2,5 %-იანი საბანკო გარანტია **195524,75** ლარზე.

8.3 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
8.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2 კალენდარული გეგმა-გრაფიკის წერილობითი დავალების მიცემიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოუდგენლობის ან/და შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ერთჯერადად ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ის ოდენობით.
9.3 წერილობითი დავალებით განსაზღვრული სამუშაოების დაწყების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის და წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ის ოდენობით.
9.5 ინსპექტირებისას სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის არაჯეროვანი შესრულების დაფიქსირების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ის ოდენობით.
9.6 სამუშაოს დასრულების ვადის ან წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.7 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ;
9.8 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი)კალენდარული დღის ვადაში.
9.9 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.10 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარმოუდგენლობის ან/და შემსყიდველთან შეუთნხმებლობის წერილობითი დავალების მიცემიდან 10 კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ბ) მიმწოდებლის მიერ, წერილობითი დავალებით განსაზღვრული სამუშაოების დაწყების ვადის 3 (სამი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს დასრულების ვადის 7 (შვიდი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 3.12 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.
ე) მიმწოდებლის მიერ ხარვეზების გამოსწორებაზე უარის თქმის ან არ გამოსწორების შემთხვევაში;

ვ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ზ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.
12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.
12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
13.2 სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით განსაზღვრული ახალი პოზიციის ერთეულის ფასის ფარგლებში, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

13.3 სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირების შემთხვევაში, ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას აანაზღაურებს შემსყიდველი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფების ფარგლებში.
13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ღირებულება

14.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
14.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
14.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
14.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
15.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 599212200; საკონტ. პირი ქ-ნ ნინო კიკაბიძე, ელექტრონული ფოსტა: geugroup@gmail.com;
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 591-59-55-77; საკონტაქტო პირი: ბ-ნ გალაქტიონ ბუაძე. ელექტრონული ფოსტა: infrastructure@tbilisi.gov.ge.
15.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
15.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
16.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
16.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი

შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ----------	მიმწოდებელი: შპს "ჯეუ გრუპი" ----------
გალაქტიონ ბუაძე ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი	ნინო კიკაბიძე დირექტორი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 საიდ. კოდი: 204521794 ა/ა **GE24NB0330100200165022**	შპს „ჯეუ გრუპი" ქ.თბილისი, შარტავას ქ №6 ბ.83 სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 საიდ. კოდი: 205251537 ა/ა GE24TB0771636080100003

დანართი N1

ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა						
№	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთეულის ზღვრული ფასი	ერთ. ფასი	სულ
1	2	3	4	5	6	7
	თავი 1. მოსამზადებელი სამუშაოები					
1	სავალ ნაწილზე არსებული ა/ბ საფარის დაშლა ფრეზით, დოლის სიგანე 2000 მმ, საშ. სისქით 15 სმ	$მ^2$	50809.00	1.90	1.90	96537.10
2	ა) ფრეზირებული საფარის ნაწილის დატვირთვა თვითმცლელებზე, გადაზიდვა ნაყარში 15 კმ-ზე	ტ	4427.20	10.78	10.78	47725.22
3	ბ) ფრეზირებული საფარის ნაწილის დატვირთვა თვითმცლელებზე, გადაზიდვა ბაზაში 10 კმ-ზე, შემდგომი გამოყენებისთვის	ტ	7763.20	8.07	8.07	62649.02
4	არსებული ა/ბ საფარის დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით, გატანა ნაყარში თვითმცლელებით 15 კმ-ზე	$მ^3$	212.30	53.13	53.13	11279.50
5	გრუნტის მოხსნა გრეიდერით, დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	6652.00	21.20	21.20	141022.40
6	ტროტუარების ფილების დემონტაჟი	$მ^2$	34747.00	3.20	3.20	111190.40

7	ა) დემონტირებული ფილების დატვირთვა თვითმცლელებზე, გადაზიდვა ნაყარში 15 კმ-ზე	ტ	3640.80	11.24	11.24	40922.59
8	ბ) დემონტირებული ფილების დატვირთვა თვითმცლელებზე, გადაზიდვა ბაზაში 10 კმ-ზე, შემდგომი გამოყენებისთვის	ტ	530.40	12.89	12.89	6836.86
9	დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი, გატანა ნაყარში თვითმცლელებით 15 კმ-ზე	მ	9916.00	6.81	6.81	67527.96
10	IV კატეგორიის გრუნტის მოხსნა და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	4170.00	21.96	21.96	91573.20
	საკომუნიკაციო ჭების ხუფის მოყვანა სათანადო ნიშნულზე					
11	არსებული ხუფების დემონტაჟი, გვერდზე დაწყობა შემდგომი გამოყენებისთვის	ც	230.00	5.66	5.66	1301.80
12	არსებული ხუფების დემონტაჟი, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე თვითმცლელებით	ც	477.00	5.94	5.94	2833.38
13	დაზიანებული ჭის ტანის ბეტონის დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით, გატანა ნაყარში თვითმცლელებით 15 კმ-ზე	$მ^3$	71.00	127.77	127.77	9071.67
14	ჭების ტანის მოყვანა სათანადო ნიშნულამდე, მონოლითური ბეტონი B25, F200, W6	$მ^3$	142.00	178.20	178.20	25304.40
15	დემონტირებული ხუფების ხელახლა მონტაჟი	ც	230.00	12.83	12.83	2950.90
16	ახალი სახურავის მოწყობა რ/ბ ჩარჩო-ხუფით	ც	477.00	325.28	325.28	155158.56
17	არსებული ბეტონის ზღუდარების დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე თვითმცლელებით	$მ^3$	5.00	127.77	127.77	638.85

18	არსებული ლითონის ღობეების დემონტაჟი, გატანა ბაზაში ჯართის სახით 10 კმ-ზე თვითმცლელებით	მ	2515.00	1.89	1.89	4753.35
19	არსებული სკამების დემონტაჟი და გვერდზე დაწყობა, გატანა ბაზაში 10 კმ-ზე	ც	53.00	40.99	40.99	2172.47
20	ბეტონის ზღუდარის დემონტაჟი, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე თვითმცლელებით	$მ^3$	5.60	127.77	127.77	715.51
21	დაზიანებული საგზაო ნიშნების დემონტაჟი, გატანა ბაზაში თვითმცლელებით 10 კმ-ზე, ჯართის სახით	ც	450.00	14.25	14.25	6412.50
22	პლასტმასის სანაგვე ურნების დემონტაჟი, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	ც	120.00	21.58	21.58	2589.60
23	ლითონის ჯიხურის გადატანა 2 მ-ზე	ც	2.00	295.54	295.53	591.06
	თავი 2. საგზაო სამოსი					
	საფარი					
24	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა, სისქით 30 სმ	$მ^3$	16854.00	22.58	22.58	380563.32
25	საფუძველი - ნაფრეზი ა/ბ-ისა 40% და ფრაქციული ღორღის (ფრ. 0-40 მმ) 60% ნარევი, სისქით 20 სმ	$მ^2$	56181.00	5.61	5.61	315175.41
26	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	39.33	1367.32	1367.32	53776.70
27	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი, ფოროვანი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, მარკა II, სისქით 7 სმ	$მ^2$	56181.00	22.12	22.12	1242723.72
28	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	19.66	1367.32	1367.32	26881.51
29	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, ადგეზიური დანამატით, ტიპი Б, მარკა II, სისქით 5 სმ	$მ^2$	56181.00	20.21	20.21	1135418.01

	ტროტუარის მოწყობა					
30	ბორდიურის მოწყობა მონოლითური ბეტონით B25, F200, W6	$მ^3$	461.84	214.40	214.40	99018.50
31	ბაზალტის ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე (20*10 სმ)	მ	2938.00	39.78	39.78	116873.64
32	ლითონის ცხაურის მოწყობა ხეებისთვის	ც	123.00	372.79	372.79	45853.17
	საფარი ტროტუარზე					
33	პროფილის შესწორება ქვიშა-ღორღოვანი ნარევით	$მ^3$	1698.00	32.40	28.85	48987.30
34	საფუძველი - ქვიშა, ცემენტის 5%-იანი დანამატით, სისქით 10 სმ	$მ^2$	33960.00	9.06	8.15	276774.00
35	I კატეგორიის ნოყიერი ფენის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გამწვანებისთვის, მოზიდვა ობიექტზე 15 კმ-ზე	$მ^3$	2251.50	13.39	11.51	25914.77
	თავი 3. გზის კუთვნილება და მოწყობილობა					
	მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების შეკეთება					
36	დაზიანებული ა/ბ საფარის დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე თვითმცლელებით	$მ^3$	676.70	53.12	53.12	35946.30
37	დაზიანებული საფუძვლის მოხსნა მექანიზმებით, გატანა ნაყარში თვითმცლელებით 15 კმ-ზე	$მ^3$	676.70	20.42	20.42	13818.21
38	საფუძველი - ნაფრეზი ა/ბ-ისა 40% და ფრაქციული ღორღის (ფრ. 0-40 მმ) 60% ნარევი, სისქით 20 სმ	$მ^2$	4511.00	5.61	5.61	25306.71
39	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	3.15	1367.32	1367.32	4307.06

40	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი, ფოროვანი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, მარკა II, სისქით 6 სმ	$მ^2$	4511.00	19.09	19.09	86114.99
41	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	1.35	1367.32	1367.32	1845.88
42	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, ადგეზიური დანამატით, ტიპი Б, მარკა II, სისქით 4 სმ	$მ^2$	4511.00	16.36	16.36	73799.96
	საგზაო ნიშნების მოწყობა					
43	საგზაო ნიშნების მოწყობა ლითონის დგარზე, სიგრძით 3,5 მ, მიწის სამუშაოების, დაბეტონებისა - 25, -200, ჭ-6 და დგარების შეღებვის გათვალისწინებით	ც	270.00	62.14	62.14	16777.80
	არსებულ დგარებზე ფარების დაკიდება	ც	295.00	5.22	5.22	1539.90
	ფარებისა და დგარების ღირებულება					
	სამკუთხა, 700 მმ	ც	51.00	53.10	53.10	2708.10
	მრგვალი, დიამ. 600 მმ	ც	210.00	66.94	66.94	14057.40
	მართკუთხა, 350*1050 მმ	ც	1.00	83.34	83.34	83.34
	კვადრატული, 600*600 მმ	ც	258.00	66.94	66.94	17270.52
	მართკუთხა, 900*600 მმ	ც	16.00	92.36	92.36	1477.76
	მართკუთხა, 300*600 მმ	ც	25.00	35.88	35.88	897.00
	მართკუთხა, 500*2250 მმ	ც	4.00	224.71	224.71	898.84
	ლითონის დგარები, სიგრძით 3,5 მ, დიამ. 89 მმ	ც	270.00	59.40	59.40	16038.00
	გამყოფი კუნძულების მოწყობა					
44	დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი, გატანა ნაყარში თვითმცლელებით 15 კმ-ზე	მ	595.00	6.81	6.81	4051.95

45	არსებული ა/ბ საფარის დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით, 15 კმ-ზე გატანა ნაყარში თვითმცლელებ	$მ^3$	27.85	53.13	53.13	1479.67
46	IV კატეგორიის გრუნტის მოხსნა და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	117.00	21.96	21.96	2569.32
47	ბეტონის ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე (30*36 სმ)	მ	587.00	46.96	46.96	27565.52
48	პროფილის შესწორება ქვიშა-ღორღოვანი ნარევით	$მ^3$	1.10	32.21	32.21	35.43
49	საფუძველი - ქვიშა, ცემენტის 5%-იანი დანამატით, სისქით 10 სმ	$მ^2$	21.00	9.06	8.15	171.15
50	დეკორატიული ბეტონის ფილებით საფარის მოწყობა, სისქით 5 სმ	$მ^2$	21.00	23.65	23.65	496.65
51	I კატეგორიის ნოყიერი ფენის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გამწვანებისთვის, მოზიდვა ობიექტზე 15 კმ-ზე	$მ^3$	160.80	13.39	11.51	1850.81
52	ბალახის დათესვა ხელით	მ2	536.00	2.74	2.74	1468.64
	პანდუსების მოწყობა ტროტუარებზე ბეტონით					
53	პანდუსების მოწყობა მონოლითური ბეტონით B25, F200, W6	$მ^3$	108.12	178.22	178.22	19269.15
	სანიაღვრე ქსელის ცენტრალური ხაზის მოწყობა და დაერთება საკომუნიკაციო ჭებთან					
54	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	2112.22	20.11	20.11	42476.74
55	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით, თვითმცლელებზე დატვირთვით, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	211.22	43.84	43.84	9259.88

56	საგების მოწყობა მილების ქვეშ ქვიშით	$მ^3$	654.60	46.80	46.80	30635.28
57	პლასტმასის გოფრირებული მილების მოწყობა, დიამ. 300 მმ	მ	686.00	55.70	50.00	34300.00
58	პლასტმასის გოფრირებული მილების მოწყობა, დიამ. 400 მმ	მ	320.00	114.73	105.00	33600.00
59	პლასტმასის გოფრირებული მილების მოწყობა, დიამ. 500 მმ	მ	46.00	127.57	115.00	5290.00
60	პლასტმასის გოფრირებული მილების მოწყობა, დიამ. 600 მმ	მ	90.00	199.20	180.00	16200.00
61	თხრილის დარჩენილი სივრცის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	$მ^3$	1329.90	29.27	29.27	38926.17
	სათვალთვალო ჭების მოწყობა					
62	არსებული სათვალთვალო ჭების დაშლა, დაშლილი ბეტონის ნაწილების გატანა ნაყარში თვითმცლელებით 15 კმ-ზე	$მ^3$	28.50	127.77	127.77	3641.45
63	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	312.00	20.11	20.11	6274.32
64	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით, თვითმცლელებზე დატვირთვით, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	31.20	43.84	43.84	1367.81
65	ქვესაგები ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ3	15.60	32.09	32.09	500.60
66	სათვალთვალო ჭების მოწყობა რ/ბ რგოლებითა და გადახურვის ფილებით, დიამ. 1 მ	ც	39.00	831.22	831.22	32417.58
67	წასაცხები ჰიდროიზოლაცია ცხელი ბიტუმით (2 ფენა)	$მ^2$	296.40	11.97	11.97	3547.91
68	თხრილის დარჩენილი სივრცის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, მოსწორებითა და დატკეპვნით	$მ^3$	93.60	29.27	29.27	2739.67

	წყალმიმღები ჭების მოწყობა					
69	არსებული წყალმიმღები ჭების დაშლა, დაშლილი ბეტონის ნაწილების გატანა ნაყარში თვითმცლელებით 15 კმ-ზე	$მ^3$	65.00	127.77	127.77	8305.05
70	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	561.70	20.11	20.11	11295.79
71	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით, თვითმცლელებზე დატვირთვით, გატანა ნაყარში 15 კმ-ზე	$მ^3$	56.20	43.84	43.84	2463.81
72	ქვესაგები ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	$მ^3$	31.18	32.09	32.09	1000.57
73	წყალმიმღები ჭების მონოლითური ბეტონი B25, F200, W6	$მ^3$	149.70	205.22	205.22	30721.43
74	თუჯის გვერდმიმღების მოწყობა	ც	138.00	311.02	311.02	42920.76
75	თუჯის ცხაურის მოწყობა	ც	10.00	289.64	289.64	2896.40
76	სიცარიელის შევსება მონოლითური ბეტონით	$მ^3$	0.12	150.18	150.18	18.02
77	წასაცხები ჰიდროიზოლაცია ცხელი ბიტუმით (2 ფენა)	$მ^2$	21.20	11.97	11.97	253.76
78	ანაკრები რ/ბ კოჭის მონტაჟი	ც	8.00	87.02	87.02	696.16
79	ქვაბულის დარჩენილი სივრცის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, მოსწორებითა და დატკეპვნით	$მ^3$	795.00	29.28	29.28	23277.60
	სულ					5416591.17
	ზედნადები ხარჯები - 10%					541659.12
	ჯამი					5958250.29
	გეგმიური დაგროვება - 8%					476660.02
	ჯამი					6434910.31
	გაუთვალისწინებელი ხარჯები - 3%					193047.31
	ჯამი					6627957.62

დღგ - 18%					1193032.37
სულ ხარჯთაღრიცხვით					7820989.99

შენიშვნა:

1.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ერთეულის ფასები არ უნდა აღემატებოდეს დანართი N1-ში მითითებული შესაბამისი ერთეულის ზღვრული ფასების ოდენობას.

2. პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვა ატვირთული იქნას Excel-ის ფორმატის ფაილის სახით, დანართი N1–ის მიხედვით. (ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).

3.გაუთვალისიწნებელი ხარჯი (3%) არის უცვლელი.

შპს "ჯეუ გრუპი" /დირექტორი/

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია

№ CPB/19-004364 28.02.2019წ.

ვის: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს „ჯეუ გრუპ"-მა, ს/კ 205251537 (შემდეგ – „მიმწოდებელმა") ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (NAT190002235) წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით,

ვადასტურებთ, რომ:

ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე: **195 524.75 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოცდაოთხი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი)** ლარზე და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია 28.02.2019 -დან 10.08.2019-ის ჩათვლით.

ARDI INSURANCE

მარა ჭამუშაძე
მომსახურებისა და მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი

თანხმობა მატერიალურ – ტექნიკური ბაზის შესახებ

პრეტენდენტს სამშენებლო სამუშაოების ადგილზე საჭიროების მიხედვით უნდა გააჩნდეს მოცემული სახეობისა და მინიმალური რაოდენობის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოყენებული იქნება სამუშაოების წარმოების პროცესში.

#	მანქანა–მექანიზმების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	ავტოგრეიდერი	ცალი	2
2	ექსკავატორი	ცალი	2
3	სატკეპნი გლუვვალციანი	ცალი	2
4	სატკეპნი პნევმატური	ცალი	2
5	სატკეპნი ვიბრაციული	ცალი	2
6	ასფალტდამგები	ცალი	1
7	ავტოთვითმცლელი	ცალი	10
8	ბორტიანი სატვირთო მანქანა	ცალი	1
9	საგზაო ფრეზი	ცალი	1
10	სანგრევი ჩაქუჩი კომპრესორით	ცალი	5
11	ასფალტის საჭრელი ხერხი	ცალი	1
12	ელექტრონული ტაქეომეტრი (ინტეგრირებული GPS-სისტემით)	ცალი	1
13	საგზაო ნიშნების და შემოსაზღუდი საშუალებების სრული კომპლექტი ობიექტის სრულყოფილად მოწყობაზე გათვლილი	კომპ.	8

შენიშვნა:

1. *დანართი N4-ში მითითებული მანქანა–მექანიზმების შესახებ ინფორმაცია (თანხმობა) პრეტენდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.*
2. *სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N4 წარმოდგენილი უნდა იქნას ჩამონათვალში მოცემული ტექნიკის/აღჭურვილობის სახეობების უცვლელად და მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით.*
3. *პრეტენდენტს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს ასფალტო ბეტონის ქარხანა ან წარმოადგინოს ასფალტო ბეტონის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.*
4. *ასფალტო ბეტონის ქარხნის საკუთრების/სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ასფალტო ბეტონის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.*
5. *ასფალტო ბეტონის ქარხნის სარგებლობით ან ასფალტო ბეტონის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა არანაკლებ 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ტენდერით გათვალისიწინებული სამუშაოების დასრულების ვადას.*